ხუთშაბათი, 1917 წ. მარიამობისთვის 31 (12) წელიწადი მესამე ფასი 15 კაპ.

საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

№ 191 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 191

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის ვინაობა** და მისამართი. **უპირობოთ** გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ იანვრიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) **შეიძინება** № 15 კაპ. **განცხადების ფასი** სტრიქონზე პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. შიგნითა გვერდებზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **ხანგლაშვიანი განცხადება** თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. **მისამართის გამოცვლა** ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილი იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. **კონტორა ღიაა** დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

გენერალ კორნილოვის ჯარებმა პეტროგრადზე გაილაშქრეს. მათ შორის არის კავკასიის მთიელთა დივიზიაც, ისინი 50 ვერსის სიშორეზე არიან პეტროგრადიდან.

რუმინეთის ფრონტის სარდალი გენერალი დენიკინი კორნილოვს მიემხრო.

ბალტიის ფლოტი დროებით მთავრობის მხარეზეა.

გენერალი ვასილკოვსკი გადააყენეს.

კორნილოვი თავისი მანიფესტით ბრალს სდებს მთავრობას: ბოლშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფები და რუსეთს ჰღუპავო.

იურენევმა, კოკოშკინმა და ჩერნოვმა მთავრობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

საზღვარ-გარეთ გადასახლებულნი ყოფილ მეფის მომხრენი ჰელსინგფორსის დეპუტატთა საბჭოს განკარგულებით ჰელსინგფორსში დააკავეს.

რიბომ უარი განაცხადა სამინისტროს შედგენაზე. პუანკარემ მისი შედგენა ახლა პენლევეს დაავალა.

წერილები

გ. ქ. კორნილოვის აჯანყება.

რ. ინგილო. საქართველოს ეკლესიის მტრები.

ნ. დურნოვოს წერილიდან საქართ. საექსარხოსოზე.

ს. იორდანიშვილი. რუს. გერმანეთის ომი და ინგლისი.

კორესპონდენცია: ზემო-იმერეთიდან, საინგილოდან.

თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მარიამობისთვის 31-ს, ბანკის შენობაში, ლორის-მგლიქოვის ქუჩაზე, გადახდილი იქნება **პანაშვილი** ხსენებულ ბანკის თავმჯდომარის

თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის

გარდაცვალებიდან ათის წლის აღსანიშნავად. 1—758—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

X და XII შენის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ **ძვირას**, 3 სექტემბერს დილის 10 საათზე

ახალ საკრებულოს შენობაში (ყოფილი ხარფუხ. კლუბი)

დანიშნულია პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა

კრება.

კრებაზე მოხსენებას წაიკითხავს შ. ქარუმიძე თანამედროვე მომენტის შესახებ. ამასთანავე ბ. გიორგი ჟურული აუხსნის საზოგადოებას ქალაქის თვითმართველობის განყოფილებათა უფნებში დაარსების საჭიროებას და მათს მნიშვნელობას. შემდეგ მოხდება საუნო კომიტეტის ხელ-ახალი არჩევა.

პური

ვინაიდან ბევრმა 20 აგვისტოსთვის ვერ მოასწრო პურის ბარათების **აღება**, ამიტომ პურის ბარათებით გაყიდვა გადაიდო განსაზღვრელ დროისთვის. ქალაქის სასურსათო კომიტეტს ამით უნდოდა, ყველას მიეღო ბარათები და **უპიროდ** არავინ დარჩენილიყო.

ამჟამად ქალაქის სასურსათო კომიტეტი აუწყებს ქალაქის მკვიდრთ, რომ ამა წლის **პირველ სექტემბრიდან ყველგან პური გაიყიდება მხოლოდ ბარათებით.**

რადგან საყოველთაო კრიზისია სურსათისა, აუცილებლად საჭირო იყო ბარათების შემოღება პირველ საჭიროების საგნების, განსაკუთრებით პურის.

ამიტომ ხმები, რომ ვითომც პურის ბარათები ღარ იქნებაო, მოკლებულია ყოველს საფუძველს.

მოქალაქენო დაიჩქარეთ და აიღეთ ბარათები აგვისტოს დამლევამდის. ნუ დაიგვიანებთ, თორემ ბევრი რომ მოაწყდენ ერთბაშად სასურსათო კომიტეტებს, ბარათების მიღებას ვერ მოასწრებთ.

დაწესებულებათ ბარათებს მისცემენ ქალაქის სასურსათო კომიტეტის **სპეციალურ** კომიტეტში თანახმად დამოწმებულ სიისა, რომელიც უნდა წარადგინოს **სოგანგებოდ** გაგზავნილმა პირმა.

ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

გაზეთ „საქართველოს“ კონტორისაგან

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა, ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ, დღეიდან გაზეთის

თითო ნომერი ელირება 15 კაპ.

ხელის მოწერთა ფასები შეიცვლება პირველ ენკენისთვიდან.

გამოვიდა და იყიდება

ტიტე მარგველაშვილის

წიგნი

„ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი“

წიგნის მაღაზია „ცოდნა“ ი. მერკვილაძისა და ეროვნ.-დემოკრატიის ბიურო. ფრეილინის ქ. № 13. 3—1

ახალი საკრებულო

(ყოფილი ხარფუხის კლუბი)

საზაფხულო სადგომი მიხეილის ქუჩა № 131.

ხუთშაბათს, 31 აგვისტოს.

სრულიად ენაზე წარმოდგენილ იქნება

„არშინ მალ ალან“

სიმღერების უმეტესი ნაწილი განმეორდება გარდუვალად.

შესვლის ფასი 3—1 მანეთამდე

1—758—1 დასაწყისი სალამოს 9 საათზედ.

კვირას, 3 ენკენისთვის, დღის 10 საათზედ (ახალ დროზე) სახალხო სახლში დანიშნულია მომხმარებელთა საზოგადოება

„ალორძინება“-ს

წევრთა წლიური საზოგადო კრება.

დღის წესრიგი: 1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) წლიური ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 3) გამგეობის წევრთა არჩევა, 4) წევრთა გამორიცხვა საზოგადოებიდან და 5) მიმდინარე კითხვები.

დაბეჭდილი ანგარიშები წევრთ შეუძლიანთ მიიღონ უმთავრეს მაღაზიაში და განყოფილებებში.

გამგეობა სთხოვს წევრთა უთუოდ დესწრონ კრებას.

გამგეობა.

2—768—1

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა კურსები

ტ. მ. ფილოსოფიანისა

ოქტომბრის სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. სალამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—10

ქ. გორში, ხაშურში და სოფელ ახალქალაქში ე. თარხნ მოურავის

პროფესიონალურ ჭრა-კერვის სკოლებში

მოწაფეთა მიღება უკვე დაიწყო. ამა წლის ენკენისთვიდგან სასწავლებლებს ემატება სამი დარგი ხელ-საქმისა: საფეიქრო, წნდების და არშიების საქსოვი განყოფილებები. მეცადინეობა დაიწყობა გორში 11 ენკენისთვიდან, ხაშურში 18 ენკენისთვიდგან, ახალქალაქში 1 ღვინობისთვიდგან, მოწაფეებათ მიიღებიან არა ნაკლებ 12 წლისანი. 12 წლის ზემოთ წლოვანება განსაზღვრული არ არის. მოწაფენი მიიღებიან 1 წლის კურსითაც. მოწაფის ჩაწერა შეიძლება ქალაქ გორში და ახალქალაქში ყოველ დღე დილის 9 საათიდგან სალამოს 5 საათამდე. ხაშურში: სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით დილის 9. ს. სალამოს 5 საათამდე. ყველა სკოლებთან მიიღება დაკვეთილი საკერავი.

2—770—1

ე. დ. შალამბერიძე

იღებს სამეცნიერო და საშვილოსნოს ავადმყოფთა სალამოს 6—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

მ. ვ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საშინაურგირო სნეულებით ავადმყოფთ სალამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოქტომბრის ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—59.

ექიმი

გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. შინაგანი სნეულებანი ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მისაღების პრას. № 36, შეორე სართული.

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე სალამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მისაღების პროსპექტი № 116.

(თ—703—12)

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და სალამოს 6-დან 7 საათამდე.

გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—7

ექიმი

გ. ი. ზარიძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა სალამოს 6—7 საათამდე, ბულვარის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი

გ. გ. მესხიძე

იღებს ხაფხუტაკრთ ავადმყოფთა სალამოს 5-8 ს.-მდე, კვირა დღეს დილით

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საკონობით საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

ე. გ. ფუცხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ყოფილი ასისტენტი ქირურგიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებანი ყოველ დღე 3—5 საათამდე, ფორონცკოვის ძველის პირდაპირ, რაზიეშვილის ქუჩა, № 19.

ექიმი ქირურგი

ე. ივ. გლონჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.

ნერვებიშვილის და ფრანგიის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილი, სიფილისით და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის ბერა და სხ.

მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

4—748—თ.

ოკულისტი ვიზიტისას

მოსე ალექსიშვილის ძე

ბალანდრატიშვილი

გუნიბის ქუჩის თხ. კოლეჯის კარებიდან.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებაში ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

ბათომის კომიტეტი

ამით აცხადებს ბათომში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა [illegible] დღეში, რომ პარტიის **ბიურო გადატანილია** ახალ ბინაზე: გორგის შესახვევი № 6 გოგიტიძის სახლი. აქვე შეიძლება პარტიის წევრად ჩაწერა და ყოველდღევარი ცნობების მიღება პარტიის ცხოვრებიდან დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—8-დე. აქვე არის პარტიის საელექციო დარბაზი.

დაწესებულებათა და კერძო პირებსაც ვთხოვთ წერილები ამავე მისამართით გამოგვგზავნონ.

3—უ—2 **ბათომის კომიტეტი**

კორნილოვის აჯანყება

გენერალ კორნილოვის კონტრ-რევოლუციური ჯარი პეტროგრადს მიუახლოვდა, მაგრამ საეშვოა რომ რიგასა და ტარნოპოლის გმირმა რევოლუციურ ჯართან შეტაკებაში აღადგინოს სამხედრო სახელი, რომელიც გერმანელ და ავსტრიელ ჯართან შეტაკებაში დამარხა. გუშინდელი ეროვნული გმირი, რომლის გამოსვლის დროს თითქმის მთელი მოსკოვის სახელმწიფო თეატრი ფეხზე დგება, დღეს უკვე მართ ბედის მაძიებლად და სახელმწიფო მოღალატედ არის აღიარებული. და მასთან სოლადარობის გამოცხადებას გაურბიან თვით უკიდურესი რეაქციური ელემენტები, რომელნიც გულში აღბად თანაუგრძნობენ. მხოლოდ სამხრეთ დასავლეთის ფრონტის სარდალი დენიკინი და ორიოდე შტაბის გენერალი გაინაწილებენ კორნილოვის ბედს..

მაგრამ თუნდ მოღალატის წინააღმდეგ გენერალმა კორნილოვმა გაიმარჯვოს და პეტროგრადში შევიდეს, კონტრ-რევოლუციას ჯერ-ჯერობით მტკიცე ნიადაგი არა აქვს რუსეთში. რევოლუციის დროს სატახტო ქალაქი მთელს სახელმწიფოს მეთაურობდა და ცენტრის ხელში ჩაგდება მთელი ქვეყნის ხელში ჩაგდებას მოასწავებდა. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ასევე იყოს კონტრ-რევოლუციის ხანაშიც. უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ზოგიერთი პროვინცია და განაპირა კუთხე არა ნაკლებ ინტენსიურ პოლიტიკურ მუშაობას აწარმოებდა, ვიდრე თვით პეტროგრადი. აქ შეიქმნა რევოლუციური თვითმართველობები და ორგანიზაციები, რომელნიც მზად არიან მაგვილით ხელში მიპოებული უფლებები დაიცვან თავდამსხმელებისაგან. ეს განსაკუთრებით ჩვენს საზღვრებზე შეიძლება ითქვას, სადაც ხალხმა მეტი სახელმწიფოებრივი ინსტინქტი და გამოცდილება გამოამჟღავნა, ვიდრე შიდა რუსეთში ან სხვა განაპირა კუთხეებში.

დროებითი მთავრობის შეცდომებმა გააადვილეს კორნილოვის ავანტიურა. კერენსკის უსაზღვრო ნდობით აღჭურვა ეს სარდალი, რომელსაც წარსულში ბევრი საინტერესო თავგადასავალი ჰქონდა, მაგრამ არც ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო გამარჯვება არ ხდომია წილად. ახლა თვით ბრძენისთვისაც კი ნათელი თუ რისთვის თხოულობდა მოსკოვის თათბირზე გვნერალი კორნილოვი საარმიო კომიტეტების დაშლასა და მკაცრი დისციპლინის აღდგენას. მაგრამ თვით თათბირის დროს მთავრობის წარმომადგენლებმა ვერ განსჭვრიტეს გენერლის მუხანათობა და მისი კონტრ-რევოლუციური ზრახვანი მის პატრიოტიზმს მიაწერეს. ეხლა ეს უგუნური მამულიშვილი ვერცურ დივიზიას მიუძღვის, რათა რიგის დათმობის შემდეგ, პეტროგრადი აიღოს და რევოლუციონერების სისხლით შეღებოს ხმლები, რომელნიც გერმანელების ხმლებს უნდა გადასჭდობოდნენ.

კორნილოვის ამბოხებამ რუსეთის ლაშქრის უკურნებელი სნეულება გააშკარავა. ეს ჯარი კიდევ უფრო გა-

თიშული ყოფილა, ვიდრე დანარჩენი ხალხი. უმაღლეს აფიცრობასა და უბრალო სალდათობის შორის გარდაუვალი უფსკრული გათხრილი. რევოლუციურმა ჯარმა თავის სიღრმიდან ვერ წარმოშვა ახალი მეთაურები, რომელნიც საფრანგეთის რევოლუციურ სარდლების მსგავსად სამშობლოს გამარჯვებისა და დიდების გზებს უჩვენებდნენ. თანამედროვე რუსეთს არა ჰყავს თავისი ჰოშები, ოჟეროები და ბონაპარტები. ძველი სამეფო სკოლიდან გამოსულ სარდლებს კი ჯარისკაცი უნდობლად უცქერის.

ასეთ პირობებში ძნელია ისეთ მედგარ მტერთან ბრძოლა, როგორიც გერმანიაა. ეს დაინახეს ბოლშევიკებმა და მწარე გამოცდილებიდან პრაქტიკული დასკვნაც გააკეთეს. ბოლოს ალბად დროებითი მთავრობაც იძულებული გახდება ეს დასკვნა გაიზიაროს.

გ. ქ.

საქართველოს ეკლესიის მტრები

(გაზეთ „კავკაზ“-ის შავრაზმულ გამოსვლის გამო)

ჩვენ რამოდენიმე-ჯერ გვქონია შემთხვევა მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიგვექცია იმ გარემოებაზე, რომ რევოლუციის სისუსტე სხვათაშორის იმაში გამოიხატება, რომ ცენტრალ მთავრობის და მის ორგანოების მართველობის მცდელობა ჩაკლებულია სათანადოთ გამორკვეულ მოხაზულობას, მიზან შეწონილ გეგმას: მაგალითად, ძლიერ ხშირად მთავრობა მიმართავს სასტიკ ზომებს იქ, სადაც პირიქით საჭიროა თანაგრძნობის გამოჩენა და წახალისება; რევოლუციური მთავრობა ბევრჯელ წინადადგომია იმგვარ მოვლენას, რომელიც თვისი არსებით სწორედ რევოლუციას ემახსოვრება და შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს! რევოლუციის წინააღმდეგ ძლიმქმედი დაწესებულებანი და პირნი კი უმეტეს შემთხვევაში დაუსჯელად გაიხარჯებიან ბოროტ საქმეს და ყოველგვარად ხელს უშლიდნენ თავისუფლების დამკვიდრებას. ერთ ამჟამიერ დაწესებულებათაგანს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული მართლმადიდებელ სარწმუნოების უწყება და მისი სულის ჩამდგმელი რუსეთის უწმინდესი და უმაღლესი სინოდი. ეს დაწესებულება თითქოს საგანგებოდ იყო შემოღებული თვითმპყრობელობისაგან, რომ სათავეშივე ჩაეკრო ყოველი ცდა განთავისუფლებისა და კულტურული აღორძინებისათვის. ჯერ ისევ ტირანიულ წყობილებაში იგი საჭართლიანად იყო ცნებული ყველაზე რეაქციონურ უწყებათ, ამიტომ სახელწიფო სათათბიროში ოთხივე მოწვევისა სინოდის წარმოთ-ლრიცხვის გახსნილვის დროს თითქმის ერთსულოვნათ ჰგმობდნენ მის გამამთახსირებელ პოლიტიკას და შესაფერ რეზოლიუციებით ადასტურებდნენ ამას.

რევოლუციის ქარტეხილმა დაუნდობლად წალეკა თვითმპყრობელობის მცოცხალებელი ბუდენი! თავისუფლების ბრწყინვალე ბზის სინათლეს ვერ გაუძლეს ბნელეთში მომქმედი და იძულებული იყვნენ სოროებს შეჰფარებოდნენ! მხოლოდ ერთ უაღრესად ბიუროკრატიულ დაწესებულებას შერჩა „ნიჭი“ თანასწორის გულმოდგინებით უკმეის გუნდრუკი სპეტაკ მზეს და კუკუმათს, თავისუფლებას და მოხობას, სიწმინდეს და გაბრწყინვალებას, უდანაშაულოთ დასჯილს და მის ჯალათს!

რევოლუციური მთავრობა დღესაც ვერ მიხვედრია, როგორი საშინელი საფრთხე მოელის თავისუფალ რუსეთს სინოდისაგან, რომელმაც ახალ მთავრობას იუდასებრ ეამბორა და იმავე დროს ყოველ საშუალებას ხელარობდა სანატრელ დროის დასაბრუნებლად. მთავრობას უნდა ახსოვდეს, რომ გენერალ კორნილოვის კონტრ-რევოლიუციურ გამოსვლას მხარს უჭერა სინოდი, რომლის ბონა-მორჩილი აგენტები დაძრწიან რუსეთში და რეაქციონურ ქადაგებით აღელვებენ დუხჭირ გარემოებათა მეოხებით შეძრწუნებულ ხალხს.

ჩვენ ოდნავათაც ეჭვი არ შეგვპარვია იმაში, რომ რუსეთის სინოდი არ შეიწყნარებდა საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებას, არ შეურიგდებოდა იმ აზრს, რომ მას ბატონობა ჩამოართვეს და ძალარ ჰქონდეს შეძლება ძველებურად გაეშურდოს იერარიის ავტოკეფალური ეკლესია! ეს ცხადი იყო აგრეთვე ყველასათვის, ვინც ცოტათი მაინც ჩახედულია საეკლესიო საქმეებში და უწყას სინოდის ნამდვილი სულის-კვეთება; მაგრამ იმას კი არავინ მოელოდა, რომ რევოლუციის დროს, როდესაც ახალი შენდება და ცხოვრება ჩქარის ტემპით მიეშურება დემოკრატიული წყობილებისაკენ, სინოდი და მისი დამჭაშები გაკადნიერდებოდენ და სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებდენ რევოლუციის მიერ ადიარებულ საქართველოს ეკლესიის თვითგამორკვევის უდიდეს აქტს. სინოდის მიერ ძალდატანებით და ხრიკებით მთავრობამ გამოსცა დეკლარაცია, რომელიც ამახინჯებს ავტოკეფალურ ეკლესიის სახეს და აძლევს მას სხვა შინაარსს და მიმართულებას. იმავე სინოდის აგენტების წყალობით ისე გართულდა და დაიხლართა ჩვენი ეკლესიის კანონიური წყობილების საკითხი, რომ მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ ვეღირსენით დეკრეტის გამოქვეყნებას... და აი, როდესაც შევუდექით აღშენებითი მუშაობას, როდესაც ეკლესიამ მოიხმო ყოველი თვისი მოკეთე, რომ სინოდის მიერ გაცარცული ეკლესია განცხოველებულიყო და შემოქედებით მოღვაწეობას შესდგომოდა, ამ დროს რუსეთის სინოდმა უკანასკნელი შბამი გადმოასხა: საზაფხულო სესიის თავმჯდომარემ, ყოფილ რუს ექვარხოსმა პლატონმა მოსკოვის საეკლესიო კრებაზე საზიზღარი გამოსვლით ზედმეტად დაგვანახვა თვისი „მეგობრული“ განწყობილება უძველეს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი! მან „დანიშების“ და „დაპყრობის“ სახელით მონათლა ის აქტი, რომელიც არის მთელი ქართველი ერის ნების-ყოფის შედეგი და რომელშიაც გამოიხატება ავტოკეფალური მართველობის სუფევრენობა. ნაექსარხოსალს გამოეხმაურა ვილც დეკანოზი ჩიპელევი, რომელმაც ოფიციალ „კავკაზის“ მე-193 ნომერში მოათავსა ყოველად უმწყო წერილი ჩვენი საეკლესიო მართველობის ნაექსარხოსალის სახელში გადასვლის შესახებ. ჩვენ, თავის თავად ცხადია, არ გვაინტერესებს მამა ჩეპელევის ბავშვური ტიტინი იურიდიული არგუმენტებით „დასაბუთებულად“; ძნელია კაცთა იმგვარ ხალხთან, რომელნიც ჯერ შესთვისებიან რევოლიუციურ აღშენებლობას, ვერ შეუგნიათ, რომ რევოლიუციას აქვს თვისი საკუთარი კანონმდებლობა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს არამც თუ დაწესებულებებმა, არამედ თვითეულ პირმაც. რომელი კოდექსით ხელძღვანელობდა რევოლიუციური მართველობა, როდესაც მეფეს აცლევინებდა ზამთრის სასახლეს, ან თბილისის კომისარიატი—დიდ მთავარს? მაგრამ თავი დავანებოთ მამა ჩეპელევის იურისპრუდენციას, მას მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც დეკანოზის მეტიჩრობა მხოლოდ ამტკიცებს ბრაზ-მორეულ გეამის გულის აზრს... ჩვენ გვ ფიქრებს მხოლოდ ის, რომ ამგვარ წერილებს ადგილი ეთმობა საგანგებო კომისარიატის ორგანოში, მაშასადამე შეიძლება დავასკვნათ, რომ გადაკვრით გამოთქმულ აზრს ემხრობა ჩხენკელი, ჯაფაროვი და სხვები. გაზეთ „კავკაზის“ კილო და საერთო მიდრეკილება რევოლიუციამაც ვერ აღმოფხვრა. ჰეშმარიტ რუსის სული რედაქციიდან ვერ განიდევნა და ყოველი მისი გამომზეურება ჰაერის სიმყრალით ავსებს. დროა შეიგნოს ეს კომისარიატმა და უარი სთქვას არა საკადრის ორგანოს სამსახურისაგან.

ხოლო საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას და ქართველ ხალხს ვერ აზნევს დესპოტიის ბრაზმორეულ ბრნების ღმუილი.

რ. ინგილო

კონტრ-რევოლუცია

პეტროგრადის საოლქო ჯარის უფროსი

პეტროგრადი. მარიამობისთვის 28. კაპიტანი კოზმინი დანიშნა პეტროგრადის საოლქო ჯარის დროებით უფროსად.

პეტროგრადის ჯარის მთავარსარდლის თანამდებობის გაუქმება

პეტროგრადი. მარიამობისთვის 28. პეტროგრადის ჯარის მთავარ-სარდლის სამხედრო გენერალ-საგუბერნატორი შტაბის უფროსად დანიშნა.

დაშავებულ ჯარისკაცთა განცხადება

პეტროგრადი. მარიამობისთვის 28. დაშავებულ ჯარისკაცთა კავშირის ცენტრალ კომიტეტის წარმომადგენლებმა განუცხადეს სამხედრო გენერალ-გუბერნატორს, რომ მზად არიან დროებით მთავრობის განკარგულებას დაემორჩილონ.

კომისარ ასათიანის ცნობა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 28. სამხრეთ დასავლეთ ფრონტის კომისარი პოლკოვნიკი ასათიანი იუწყება, რომ რევოლუციონურმა ჯარმა ზომები მიიღო არეულობის ჩასაქრობად.

დასავლეთ ფრონტის კომისარის ცნობა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 28. დასავლეთ ფრონტის კომისარი ჟვანეცკი იტყობინება, რომ კომიტეტების, კომისრების და ლაშქრის შორის სრული თანხმობა არისო. კორნილოვის დეპეშები დასავლეთ ფრონტის განკარგულებით არ გაუშვეს. მთავარსარდალი და კომისარი მოუწოდებენ მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას.

მე-12-ე ლაშქრის უფროსის ცნობა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 28. მე-12-ე ლაშქრის უფროსი გენერალი პარსკი იტყობინება, მთლად ვემორჩილები დროებით მთავრობასაო.

ალმასრულებელ კომიტეტთა შეერთებული სხდომა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 28. გუშინ, სალამოს 11 საათზე დაწყებული ალმასრულებელ კომიტეტთა შეერთებული სხდომა დღეს, დილის 11 საათზე დასრულდა. უმრავლესობამ შემდეგი, წერეთლის მიერ წამოყენებული რეზოლუცია მიიღო. „ვანდომებრა ამხანაგ კერენსკის მთავრობის შედგენას, რომლის მთავარ მიზნადაც შეთქმულობასთან და კორნილოვთან თანგვანწირული ბრძოლა უნდა იყოს, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ალმასრულებელ კომიტეტებს ალგვითქვია ენერგიული მხარის დაჭერა ამ ბრძოლაში. ყველა ფრაქციამ სურვილი განაცხადა ახალ რევოლიუციონურ მთავრობის მხარის დაჭერაზე, რომლის მეთაურადაც კერენსკი იქნება. ხმის მიცემაზე დიდი გავლენა იქონია კორნილოვის მოწოდებამ მცხოვრებთადმი. ხსენებულ მოწოდებით კორნილოვი ბრალს სდებს კერენსკის იმაში, რომ კერენსკის მოქმედებით არის გამოწვეული მისი გამოსვლა; დროებით მთავრობას კი ბრალს სდებს იმაში, რომ იგი ბოლშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფება და რუსეთის დამხობს ხელს უწყობს, რის გამოც კორნილოვმა გადასწყვიტა რუსეთის დაღუპვას ხელი შეუშალოს და თავს იდვა ეს მიზანი. სხდომამ დაადგინა. შეადგინოს საგანგებო კომიტეტი, რომელშიაც შეელენ დეპუტატთა საბჭოების პოლიტიკურ პარტიების და პროფესიულ ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

მოკავშირეთა ელჩები გარეშე საქმეთა მინისტრთან

პეტროგრადი. მარიამობისთვის 28. გარეშე საქმეთა მინისტრი ინგლისის, საფრანგეთის, იტალეთის და ამერიკის ელჩებმა ინახულეს.

მოსკოვის ქალაქის თავის მოწოდება

მოსკოვი. მარიამობისთვის 28. მოსკოვის ქალაქის თავმა მცხოვრებთ მოწოდებით მიმართა. მოწოდებაში ნათქვამია: „ყოველივე მოქალაქის მოვალეობა დროებით მთავრობის მხარის დაჭერაა. თავზარ-დაცემას, სულმდაბლობას და თავისნებობით გამოსვლებს ალაგი არ უნდა ჰქონდეთ. სიწყნარისა და წესრიგის დაცვით მოსკოვის მცხოვრებნი დახმარებას აღმოუჩენენ დროებით მთავრობას დასძლიოს, ვინც მის კანონიერ უფლებებს ხელს აბზებს.

მოსკოვის სოციალისტურ პარტიების დადგენილება

მოსკოვი. მარიამობისთვის 28. წუხელ სოციალისტურ პარტიების და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელთ ფარული თათბირი ჰქონდათ. დაადგინეს ხმარი დაუჭირონ დროებით მთავრობას.

მოსკოვის ჯარისა და მეცნიერთა დადგენილება

მოსკოვი. მარიამობისთვის 28. მოსკოვის მეცნიერთა და ჯარის წარმომადგენელთა თათბირმა გადასწყვიტა, ზომები მიიღონ მათ წინააღმდეგ, ვინც შეეცდება რაიმე ენება მიაყენოს დროებით მთავრობას.

ნამეფარის მომხრეთა საზღვარ-გარეთ გასვლის საკითხი

ჰელსინგფორსი. მარიამობისთვის 27. სვეაბორგელ დეპუტატთა საბჭომ ცენტრალ კომიტეტს საპროტესტო რეზოლიუცია გამოუგზავნა დიდ მთავართა, ყოფილ მეფეს მომხრეთა საზღვარ გარეთ გადასახლების გამო. სანქტ-პეტერბურგიდან მინასევიჩმანუილოვი, ვირუბოვი, გლინკა იანჩევსკი, ბადმაევი და ოლონგრენკი სადგურ რიხიმიაკზე დაიჭირეს და ჰელსინგფორსის დეპუტატთა საბჭოს განკარგულებით ჰელსინგფორსში აიყვანეს. იახტა „პოლიარნაია ზვეზდაზე“ შეპყრობილ ალფერიევის ქალით, რეშეტნიკოვს, ფესიოლს და ბიკსნეს სხვაგან გასვლის უფლება აუკრძალეს.

კერენსკის რადიოტელეგრამა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 28. მინისტრ თავმჯდომარის განკარგულებით დაიგზავნა შემდეგი რადიოტელეგრამა: ამ მწუხარე ჟამს, როდესაც სამშობლო ძლიერ მტერს უმკლავდება, მარიამობისთვის 26-ს, ყოფილ მთავარსარდალ გენერალ კორნილოვის მოთხოვნილება. იგი მოითხოვდა სამხედრო ტაქტიკურო უფლება მოსილებას მთელ სახელმწიფოზე. დროებითმა მთავრობამ გადაყენა გენერალი კორნილოვი და ზომები მიიღო დღეიდან და მარადის თავისუფალ ერის უფლებათა დასაცავად. ფიცრებო და ჯარისკაცნო! მოღალატეთა ცილისწამებით თვალებაბნეულ მთავარსარდლის ცდა, ჩვენისა და თავისუფალ ერის აზრით ძლევა-მოსილ ლაშქრისა და ფლოტს არ სცხებს ჩირქს. სამშობლოს სწამს ღვიძლ შვილთა გონიერება, სამშობლომ იცის, რომ სიკვდილის წინაშე შეუდრეკელად მდგომნი აფიცრები, ჯარისკაცნი და მეზღვაურნი თვალებაბნეულ თუ მოტყუებულთა მოღალატე გუნდს არ შეუერთდებიან. სამშობლო მოითხოვს ყველა შვილისგან საკმაო ვაჟკაცობას და პატრიოტიზმს, რომ უკუაგდოთ ყოველივე ეშვი, ერთიერთმანეთის უნდობლობა—მტკიცედ შეერთდეთ და დაიფაროთ იგი გერანელთა იმპერატორის პოლკებისაგან, დარაჯად იდექით. ზოგიერთთა უკუნურობით არ ასარგებლოთ მტერი ფრონტზე ახალ შემოტევისათვის.

ა. კერენსკი.

კერენსკის მივართვა რკინის გზის მოხელეთადმი

პეტროგრადი. მარიამობისთვის 28. მინისტრ-თავმჯდომარემ ხელი მოაწერა რკინის გზის მოხელეთადმი მიმართულ შემდეგ მოწოდებას: „რუსეთის ბედი უმეტესად თქვენს ხელშია. თქვენ გვიშველეთ თავის დროზე ძველ მთავრობის ჩამოგდებაში, თქვენ უნდა დაიცვათ რევოლუციით შეძენილ. არც ერთი ბრძანება გენერალ კორნილოვისა არ უნდა აასრულოთ. იდვიძეთ, გაფრთხილდით, აასრულეთ მხოლოდ დროებითი მთავრობის ნება, ვინაიდან იგი რუსეთის ერის ნება-სურვილია.

მინისტრ-თავმჯდომარე კერენსკი.

ბრძანება გალტიის ფლოტს

ჰელსინგფორსი. მარიამობისთვის 28. ბალტიის ფლოტის უფროსმა ადმირალ რაზვოზოვმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: გახსოვდეთ, რომ მხოლოდ ფლოტი შესძლებს წინააღმდეგობა გაუწიოს მტრის უკანასკნელ შემოტევას. ზურგში ბრძოლამ თქვენ არ უნდა შეგაძრწუნოთ ჩვენ ყოველს უუარიოდ უნდა ავასრულოთ დროებით მთავრობის ბრძანება.

ა. კერენსკის განცხადება

პეტროგრადი. მარიამობისთვის 29. გენერალ კორნილოვსა და მის გარშემო თავმოყრილ ავანტიურისტების ამაღელვებელი გამოსვლა სრულიად ცალკე სდგას მომქმედ ჯარისა და ფლოტისაგან. ფრონტების ყველა მთავარ-სარდლები, გარდა სამხრეთ დასავლეთის ფრონტის, დენიკინისა, დარჩნენ ერთგულნი დროებითი მთავრობისა და ამაზედვე მოუწოდეს თავის ჯარებს. ყველგან მთავარ-სარდალნი მოქმედებენ თანახმად დროებითი მთავრობის სარევოლიუციო კომისარებისა და კომიტეტებისა. გენერალი დენიკინი და მთელი მისი შტაბი დაპატიმრებულია ალიან ადგილობრივი ბანკში. საბრძოლო მოქმედება დროებით დატოვებულია მათს ხელში კომიტეტების სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ. დატუსაღებულია აგრეთვე ჯენერალი ერდელი და ზოგიერთი წევრი მისი შტაბისა. ბალტიის ფლოტი სარდლებიანად ერთხმად მიემხრო დროებით მთავრობას. მხოლოდ ზოგიერთი პატრა რაზმები, რომელნიც შეცდომაში იყვნენ შეყვანილნი კორნილოვისაგან და პეტროგრადისაკენ გამოგზავნილნი, რჩებიან გამოურკვეველ მდგომარეობაში. ამათი სვლა პეტროგრადისკენ შეჩერებულია და კავშირიც მათ შორის მათილდება. ზოგიერთ ამ ნაწილებისგან პეტროგრადს ჩამოვიდნენ წარმომადგენელნი და ითხოვეს ბრძანება დავატუსაღოთ მოღალატენიო. დროებითმა მთავრობამ მიიღო ყოველი ზომა პეტროგრადის დასაცავად თავდასხმისაგან. იმედი აქვთ, რომ თავიდან აცილებული იქნება სისხლის დვრა და სამოქალაქო ომი. პროვინციის ყოველი მხრიდან, ორგანიზაციებიდან, ჯარებიდან და ხალხისგან მოდის ცნობები, რომ ყველანი ერთგულნი რჩებიან დროებითი მთავრობისა და ყოველი საშუალებით დაიცავენ მშვიდობიანობას, რადგანაც მხოლოდ შეთანხმებულ მოქმედებას შეუძლიან იხსნას სამშობლო დაღუპვისაგანაო. დროებითი მთავრობა მოითხოვს სრულ მშვიდობიანობას და მოითხოვს სრულ განკარგულებას.

მინისტრ-თავმჯდომარე ა. კერენსკი.

ბრძანება საგუბერნიო და საოლქო კომისარებს

პეტროგრადი. მარიამობისთვის 28. ყოფილმა მთავარ-სარდალმა კორნილოვმა გაჰბედა და მოსთხოვა დროებით მთავრობას გადაცემა მის ხელში სრული ხელისუფლებისა. როცა მოვსთხოვეთ თანამდებობიდან გადადგომა, მან წარმოგზავნა მოტყუებული ჯარები პეტროგრადზე. ახლოვდება საშინელი განცდანი ძმათა ომისა. უმეტესი ნაწილი ჯარებისა რჩება ერთგული დროებითი მთავრობისა და დემოკრატიულ რესპუბლიკისა. იცავს რა რევოლიუციით შეძენილ თავისუფლებას, დროებითმა მთავრობამ მიიღო ყოველი საშუალება, რომ საკადრისი პასუხი გასცეს ახალს მტერს. გენერალ კორნილოვის ღალატმა იმ დროს, როცა სატანტო ქალაქს ემუქრება გარეშე მტერი, უნდა შეაერთოს და მოქმედების ასპარეზზე გამოიყვანოს ქვეყნის ყოველი ცოცხალი ძალა, რათა ვიხსნათ სამშობლო და თავისუფლება დაღუპვისაგან. დროებითი მთავრობა სთხოვს კომისარებს აუხსნან ხალხს მომხდარი ამბები და მოუწოდონ მათ დაიცვან მშვიდობიანობა და წესიერება. წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ყოველი ზომა რევოლიუციის შენაძენთა დასაცავად. იმოქმედეთ ერთად ჯარმა, ხალხმა და სარევოლიუციო ორგანიზაციებმა. მხნე ზომებით სათავეშივე მოსპევით ხოლმე ყოველი გამოსვლა კონტრ-რევოლიუციონერებისა.

მინისტრ-თავმჯდომარე ა. კერენსკი. მინისტრ თავმჯდომარის მოადგილე ნეკრასოვი. საოლქო კომისარ ფილოფეევი.

ბრძანება საგუბერნიო და საოლქო კომისარებს

პეტროგრადი. მარიამობისთვის 28. დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ამდგარმა ყოფილმა მთავარ-სარდალმა გენერალმა კორნილოვმა, რომელიც ეფიცებოდა ხალხს თავის ერთგულებაში რევოლიუციისადმი, ახლა საქმით გვაჩვენა თავისი ფერადობა. აღმოჩნდა, რომ მან განგება წამოიყვანა ჯარები ფრონტიდან და მით შეასუსტა იგი იმ დროს, როცა გერმანელები ლამობდნენ ჩვენს მიწაზე შემოტევას, და მთელი ეს ჯარი გამოგზავნა პეტროგრადის წინააღმდეგ. იგი არწმუნებს ყველას, რომ იცავს თავისუფლებას და პეტროგრადზე კი აგზავნის კავკასიის ველურ დივიზიას. აშხანაგებო! დადგა საათი აჩვენოთ თქვენი ერთგულება თავისუფლებისა და რევოლიუციისადმი. სრული შეგნებით, რომ ასრულებთ წმინდა მოვალეობას, მხნედ და უდრეკელად დაჰხვდით კორნილოვისაგან მოტყუებულ თქვენს ამხანაგებს. დეე ნახონ იმათ თავის წინააღმდეგ გამოსული ჭეშმარიტად რევოლიუციური რაზმები, რომელთაც იკისრეთ დაცვა რევოლიუციის და მთავრობისა, დეე გონს მოვიდნენ ისინი, სანამ კიდევ დრო არის ამისა. წინააღმდეგ შემთხვევაში იმედი მაქვს, რომ თქვენ თავს არ დაზოგავთ და ვალს შესრულებთ.

მინისტრ-თავმჯდომარე ა. კერენსკი.

გოლშევიკების და ანარქისტების გამოსვლა ოდესაში.

ოდესა. მარიამობისთვის 28. შეიარაღებული გამოსვლა „ბოლშევიკებისა“ შეჩერებულია. ანარქისტებს და შავ-რაზმელებს ეწადათ პროკლამაციების გაფანტვა, რომელშიაც მოიწვევდნენ ხალხს დარბევაზე, მაგრამ ჯარისკაცებმა შეაყენეს.

უკრაინის განცხადება

კიევი. მარიამობისთვის 28. უკრაინის ცენტრალ რადის სეკრეტარიატმა საოლქო ჯარების უფროსმა, დეპუტატთა საბჭომ და პარტიათა წარმომადგენლებმა გამოუშვეს მოწოდებანი ხალხისადმი, რომელშიაც მოუწოდებენ მათ დაიცვან მშვიდობიანობა და რევოლიუციის შენაძენი.

გაჩხრეკა პროფესორებისა

ხარკოვი. მარიამობისთვის 28. მთავრობის უმაღლესი საგამომძიებლო კომისიის გრძანებით გაჩხრიკეს ზოგიერთი ცნობილი წევრნი რუსის ხალხის კავშირისა, პროფესორები—ვინაზიგინი, ალბიცკი, გიმშელი, ადვოკატი ილინი და სხვანი.

გალტიის ფლოტის კომიტეტების განცხადება

ჰელსინგფორსი. მარიამობისთვის 28. ბალტიის ფლოტის ცენტრალმა კომიტეტმა დაუგზავნა თავის ყველა ნაწილებს, რომ დაიცვან მშვიდობიანობა და ერთგულება დროებითი მთავრობისა. გაუგზავნეს აგრეთვე ტელეგრამები კერენსკის და სრულიად რუსეთის ალმასრულებელ კომიტეტს, რომელშიაც უცხადებენ ერთგულებას და თხოულობენ კორნილოვისა და მის მომხრეთა დატუსაღებას.

დონელ ყაზახთა პოლკის ერთგულება

კიევი. მარიამობისთვის 28. დონელ ყაზახთა პოლკმა განაცხადა, რომ იგი ადგარებს მთავრობად მხოლოდ დროებით მთავრობას.

დროებით მთავრობის გრძანება მმართებელ სენატისადმი

პეტროგრადი. მარიამობისთვის 29. უმაღლესი მთავარსარდალი ინფანტერიის გენერალი დენი კორნილოვი ირიცხება უმაღლეს მთავარსარდლის თანამდებობიდან და ამბოხებისათვის მიცემულია სასამართლოში. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ლუკომსკი გადაყენებულია და სასამართლოში მიცემული. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალი გენერალ-ლეიტენანტი დენიკინი გადაყენებულია და სასამართლოშია მიცემული. ასევე—სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი მარკოვი. მინისტრ-თავმჯდომარე კერენსკი, სამხედრო სამინისტროს გამგე სავინკოვი.

მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე ნეკრასოვის განცხადება

პეტროგრადი. მარიამობისთვის 29. მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე ნეკრასოვმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საერთო პოლიტიკური მდგომარეობა საიმედოაო. ფრონტების უველა უფროსები დენიკინის გარდა დროებით მთავრობას უჭერენ მხარს. მთავრობა ფიქრობს, რომ კორნილოვის რაზმი შეცდომაში შეიყვანა. მას ჩააცნობენს, თითქოს დროებითი მთავრობა იწვევდეს პეტროგრადში ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქმე სისხლის ღვრამდის არ მივა. მთავრობა ზომებს ღებულობს, რომ ჩაგონოს კორნილოვის რაზმს თუ რაშია საქმე. ეჭვს გარეშეა, რომ კორნილოვის გამოსვლა ადრევე მზადდებოდა. მთავრობამ იცის, რომ გენერალ კრილოვის რაზმში არა სასიამოვნო ამბები ხდება. ამბოხების მოწყობაში მთავარ როლს ლეკლუმსკი ასრულებდა. დროებით მთავრობის შესახებ ბაასში ნეკრასოვმა განაცხადა: მთავრობა ძლიერია. მხოლოდ დროებით კერენსკის მიენდო განსაკუთრებული რწმუნებულება. მთავრობაში მონაწილეობაზე გადაწყვიტა ჭარა სთქვეს იურენევმა, კოკოშკინმა და ჩერნოვმა. გადაწყვიტა შეიძლება ითქვას, რომ მთელი რუსეთი კერენსკის დაუჭერს მხარს. ამას მრავალი დეპეშებიც მოწმობენ. დასასრულ ნეკრასოვმა აღნიშნა, რომ ხალხის თავისუფლების პარტიას, როგორც სახელმწიფო პარტიას, არ შეეძლო კორნილოვის შეთქმულობაში მონაწილეობა მიეღო. საუბარი შემდეგი სიტყვებით დათავა. მთავრობა ყოველივე ზომებს ღებულობს სამოქალაქო ომის თავიდან აცილებლად.

ცნობა პირდაპირი მავთულით

ხალხის თავისუფლების ფრაქციის მინისტრებმა განუცხადეს კერენსკის, რომ სამინისტროს წევრებად დავრჩებით იმ პირობით, თუ ყველა ღონისძიებანი შეთქმულობის ჩასაქრობად მთავრობის ყველა წევრთა თანდასწრებით იქმნება შემუშავებული. დროებითი მთავრობის წევრთა უმრავლესობამ არ შეიწყნარა აღნიშნული განცხადება და განცხადების შემტანი მინისტრები სამსახურიდან გადადგნენ. გამოირკვა, რომ რამდენიმე დღის წინად გენერალი კორნილოვი მილიუკოვს მთავარ ბანაკში იწვევდა, მაგრამ მილიუკოვი არ წავიდა. ეხლა მილიუკოვი წინადადებას აძლევს კერენსკის, რომ ჩემს თავზე მიეღებო მოლაპარაკების დროებითი მთავრობასა და კორნილოვს შორის კონფლიქტის მოსპობადაო. კერენსკიმ განუცხადა,

რომ დროებით მთავრობას სრულებით აზრად არ აქვს რაიმე მოლაპარაკება გამართოს კორნილოვთან შეთანხმების შესახებ; მთავრობა ვიოთხოვს, რომ კორნილოვი საგსებით დამორჩილდეს მას.

ინგლისის ელჩის მიუკენენის ბინაზე თათბირი მოხდა, საცა გარეშე საქმეთა მინისტრმა ტერეშჩენკომ როკვეშირე სახელმწიფოთა ელჩებს საქმის ვითარება მოახსენა.

მტკიცდება პეტრიშკევიჩის დატუსაღება.

დალატით მოკლულ იქმნა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე დივიზიის უფროსი სტეფანოვიჩი.

სუხომლინოვის განსამართლება

პოდპორუჩიკ კოლოკოვსკის ჩვენება

სხდომაზე უკანასკნელად პოდპორუჩიკ კოლოკოვსკის ჩვენებანი გამოაცხადეს. კოლოკოვსკიმ პირველად ახადა ფარდა მიასოედოვის მოქმედებას. ტყვედ ყოფნის დროს, მას განეცხადებინა რომ სურს ემსახუროს გერმანეთის მთავრობას. იგი გერმანელ ლეიტენანტ ბაუერმეისტერისათვის გაუცნობიათ. ბაუერმეისტერს ომამდე დედით და ორ ძმით რუსეთში უცხოვრია. ამასთან მიასოედოვის დახმარებით თურმე მთელი ოჯახი ჯაშუშობდა. მიასოედოვი სანდყურ ვერბოლოვოზე მახურებდა. ბაუერმეისტერს სხვა და სხვა ჩვენებები მიუცია კოლოკოვსკისათვის და დაუვალებია, რომ პეტროგრადში ჩასვლისთანავე მიასოედოვი მოენახნა. ჩამოსულა რა პეტროგრადს კოლოკოვსკის ყველა ეს მთავარ შტაბისთვის უცნობებია. კოლოკოვსკის ჩვენებით თურმე გერმანელ მოხელეთ მისთვის დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მოკვლა დაევალებინათ, რის გამოც 1 მილიონი მანეთი აღეთქვათ. მასვე უნდა აეფეთქებინა ვარშავის ხიდი „რის გამოც 200.000 მანეთი ჰქონდა აღთქმული. მასვე უნდა შეეცდინა როგორმე ნოვოგიორგიევსკის ციხის კომენდატი, რომ ციხე უბრძოლველად დაეთმოთ. ამასთან კამენდატს აღთქმული ჰქონია 1 მილიონი მანეთი, ხოლო კოკოვსკის საგანგებო სჩუქარი. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის გარდა გერმანელები თავიანთის მავნე პირებად რაცხდნენ გენერალ ბრუსილოვს, რუზსკისა და ივანოვს. გენერალ რენნენკამპფის და სივერსის წინააღმდეგ ვარაუდობდათ. წამოსვლისას, გერმანელებს საგანგებო შიფრი მიუციათ კოლოკოვსკისთვის. შიფრში წერებული სპეციალური წინადადებები. ხსენებულ წინადადებით გერმანელ მოხელეებთან უნდა ჰქონოდა კავშირი.

გორლენკოს ჩვენება

პეტროგრადი. მარიამობისთვის 25. შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ ამხანაგ ბელეცკის მეორედ დაკითხვის შემდეგ გამოცხადდა ყოფილ საქანდარმო პოლკოვნიკ გორლენკოს ჩვენება. გორლენკო ცოტანაზობით სუხომლინოვთან იყო გაწერილი. იგი გამოტყდა, რომ სამსახურს კი არ ეწყოდა, არამედ ცოლქმრის გაყრის პროცესს იძიებდა. მან განაცხადა, რომ სუხომლინოვს კურლოვთან კავშირი ჰქონდა. სუხომლინოვის წინააღმდეგ საგანგებო კომპანიის შეწყვეტა კურლოვოს საქმე ყოფილა. სუხომლინოვს პირდაპირ და მოვალეობისათვის თავდადებულ კაცად ახასიათებს. მხოლოდ მან ვერ დაჭირა თავი ულირს ქალის სიყვარულის წინაშე. დროა ასეთ მაღალ თანამდებობის კაცის ულირს საქციელს ბოლო მოეღოსო—ასე ეთავებს წერილს ანდრონიკოვი.

გლეხი ივანოვის ჩვენება

პეტროგრადი. მარიამობისთვის 26. გლეხი ივანოვი, რომელიც მსახურებდა ალტშილერის პეტროგრადის კანტორაში, ამბობს, რომ არაფერი სანქვო მე იქ არ შემინიშნავსო. ალტშილერთან მოდიოდნენ სუხომლინოვები, პოლკოვნიკი ივანოვი და სხვა პირნი.

ალტშილერის მდივნის ჩვენების წაკითხვა

ალტშილერის მდივანი ივერსენი ამბობს, რომ ალტშილერთან მოდიოდნენ ვ ღაც სამხედრო პირები, რომლებიც საიდუმლოდ ელაპარაკებოდნენ მასაო. თავის ქალაქებს ალტშილერი ძალიერ უფრთხილდებოდაო, მაჭლავდაო.

ალტშილერის შვილისა და ძმის ჩვენებანი.

ალტშილერის შვილი ჩამოვიდა ციმბირიდან, რომ ჩვენება მისცეს სასამართლოს. ფრთხილად ლაპარაკობს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ მისი მამა ჯაშუში არ იყო. პატიმყოფარეობისთვის თუმცა ცდილობდა ცნობა ჰქონდა ავსტრიელ მთავრობასთან და ატარებდა მათს ორდენებსა, მამაჩემს მაინც იმედით უყვარდა რუსეთი, რომ კიევის სასაფლაოზე საგვარეულო აეშენებინა და იქ ყოველთვის აკლდამაც კი იყოდაო. რაც შეეხება მისი მამის კიევში გადასახლებას, ეს მამამ კომერციული მოსაზრებით ჩაიდინაო. ფარსა ჰყოფს, ვითომც მის მამას რაიმე კავშირი ჰქონდეს ავსტრიის მთავრობასთან და თუ ავსტრიაში გადაიცილა, მხოლოდ ჰაერის გამოსაცვლელადაო.

ინჟინერ დაშკევიჩის ჩვენება.

სუხომლინოვის ქალის ბიძაშვილმა, ინჟინერ დაშკევიჩმა, რომელიც სამხედრო სასამართლოსაგან გაგზავნილ იქმნა კატორღაში დალატისათვის, სთქვა: სუხომლინოვმა გამაცნო ალტშილერთან. როგორც თავის მეგობართან. ალტშილერმა შემომთავაზა თავმჯდომარეობა სამხრეთ-რუსეთის მანქანათა ამკლებ საზოგადოებისაო. ალტშილერზე სთქვა, რომ თუმცა ხმა დადიოდა, რომ იგი ჯაშუშიაო, ეს ტყუილი იყო, ამ ხმებს მისი მტრები ავრცელებდნენ, რომლებსაც ის ცუდად ექცეოდაო. ასეთი ხმები ერთ დროს მიასოედოვზედაც დადიოდაო, მაგრამ იგი მათ მნიშვნელობას არ აძლევს. შემდეგ დაშკევიჩი ამბობს, რომ სუხომლინოვმა გადმოსცა მას სია სამხედრო უწყების მოქმედებისა. ეს სია მე დუმბაძეს გადაეცითო, რომელსაც აზრად ჰქონდა დაეწერა სუხომლინოვის ბიოგრაფიაო, თუმცა ეს მე არ ვიცოდიო. უკან აღარ დამიბრუნებია სია სუხომლინოვისათვის, რადგან ვერ მოვასწარიო. მე გამჩხრიკეს და სია ჩემთან აღმოჩნდაო. ბევრს კითხვაზე დაშკევიჩი პასუხს არ იძლევა, არ მახსოვსო.

პოლკოვნიკ ივანოვის ცოლის ჩვენება.

პოლკოვნიკ ივანოვის ცოლი ამბობს, რომ კარგად ვიცნობდი ალტშილერსა და მის ცოლსაო. ქმრის საქმეებში ის არ ერეოდაო. საზღვარ გარეთაც ვიყავი მასთან თავის მამულშიო. აქ მას სუხომლინოვისგან მოსდიოდა წერილებიო, რომლებსაც სუხომლინოვი აწერდა ნემეცურად სიტყვას, რაიც ნიშნავს „კოხტას“. ალტშილერი, სუხომლინოვი და ივანოვი იწოდებოდნენ სხვა და სხვა სახელებით, მაგრამ რათა, არ ვიცი.

წაკითხვა პოლკოვნიკ ივანოვის ჩვენებისა.

კითხულობენ დალატისთვის დასჯილ პოლკოვნიკ ივანოვის ჩვენებას. ჩვენება ცდილობს გაამართლოს სუხომლინოვი, დაშკევიჩი და მიასოედოვი.

უკანასკნელი დეპეშები
პეტროგრადიდან

„რუსკოეა ვოლია“-ს ცნობით, მაკლაკოვი კორნილოვთან წასულა. ამას დიდ მნიშვნელობას აწერენ.

—

გაანთავისუფლეს სახელმწიფო სათბირის წევრი ლვოვი. მას სულიერ ავადმყოფობის ნიშნები ეტყობა.

—

პეტროგრადის წითელი გვარდია ნდობას უცხადებს დროებით მთავრობას და 40.000 კაცისაგან შემდგარ რაზმს ჰპირდება. ნიკოლაევის სადგურზე ჩვეულებრივი მოძრაობაა.

—

სავინკოვმა პეტროგრადის ქუჩებში მიტინგების გამართვა აკრძალა.

—

ქალაქის საბჭომ პეტროგრადის დასაცავად საგანგებო კომიტეტი აირჩია.

—

მოსკოვიდან.

მოკავშირე სახელმწიფოთა ელჩებმა მომხდარი ამბები თავ თავიანთ მთავრობას დეპეშებით აცნობებს. კორნილოვის გამოსვლას. მოკავშირენი დიდ მნიშვნელობას აწერენ.

—

გამოირკვა, რომ გუჩკოვი კორნილოვის შეთქმულობის სულიხ ჩამდგმელი ყოფილა.

—

პეტროგრადიდან ნ. ს. ჩხეიძის ავადმყოფობას იტყობინებიან.

—

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის ყოფილი უფროსი გენერალი ლუკომსკი კორნილოვის შეთქმულობის სულს ჩამდგმელი ყოფილა. ლუკომსკის დაიჭადე, რომ კორნილოვის მოთხოვნილებათა აღსრულებლობა სამოქალაქო ომს გამოიწვევსო.

—

ქალაქ ლუგას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატები იცავენ. კორნილოვის ყაზახთა ერთ ერთ პოლკში უარი განაცხადა პეტროგრადში წასვლაზე.

—

მარიამობისთვის 29 დან პეტროგრადში პურის ბარათით მხოლოდ ნახევარი გირვანქა ეძლევიან.

სახალხო მოედანზე ტყვიამფრქვეველები გაამზადეს.

—

მარიამობისთვის 29-ში დილა ადრიან პეტროკრადის სხვა და სხვა კუთხიდან ჯერ დაიძრა.

—

კადეტების პირველ დივიზიამ ჯერ არ იცის, რომ პეტროგრადიდან მიემგზავრება.

ომი და ზავი

დეკეშები

რუსეთის ფრონტი

პეტროგრადი. მარიამობისთვის 28. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით. პსკოვის გზატკეცილზე მტრისა და ჩვენს მოწინავეებს ბრძოლა აქვთ. რუტენეკ-ზეგევოლდ-გაილეს ხაზთან მტრის შემოტევას ვაკავებთ. ერთ დამკვრელ ბატალიონმა მეფრესთან მტერი დაამარცხა; ხელთ იგდო 4 ტყვიის მტრცხვნელი და ტყვეები. ფიდრიხშტადტის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში მტერი შეეცადა ჩვენი მოდარაჯენი შეეკეცა. მაგრამ ამაოდ. დანარჩენ ფრონტზე არსებითი არ არის რა.

მფრინავთა მოქმედება. დაბა კრეგოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. მიკულევიჩინის მახლობლად ჩვენმა არტილერიამ მტრის ჰაეროპლანი ჩამოაგდო. მარიამობისთვის 27 სადგურ პუნიცის რაიონში მტრის ჰაეროპლანმა ჰოსპიტალს რამდენიმე ყუმბარა ესროლა. მოკლულია ერთი ავადმყოფი ჯარის კაცი. დაჭრილია 10, სამი მინისტრი და ერთიც ბიჭი.

რუმინეთის ფრონტი. ოკნის დასავლეთ რაიონში მარიამობისთვის 27 სოფ. ოკნიუნიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეების გამო სწარმოებდა ბრძოლა. დანარჩენ ფრონტზე სროლა და მზვერავია მოქმედებაა, ამასთან ირეშტის აღმოსავლეთ რაიონში მტრის მზვერავები გაცხარებული მოქმედობენ.

ბალტიის ზღვა. მარიამობისთვის 26. შუადღე რომ გადახარა მტრის ჰიდრო-ჰაეროპლანებმა ცერელის ბატარეიას აუტეხეს სროლა. ესროლეს 40 ყუმბარა, მაგრამ უშედეგოთ რიგის ყურეში მტრის 16—ჰაეროპლანმა ორჯერ მოიტანა იერიში ჩვენს საესკადრო ნაღმოსნებზე. ჰაეროპლანმა უშედეგოდ 40 ყუმბარა ჩამოყარა. რიგის ყურის შემოსავალში მტრის გემები გზებს ათვალიერებენ. ფინის ყურეში მტრის წყალ ქვეშამ ჩასძირა მომცრო ვეში „ვიმს“-ი დაიღუპა 10 კაცი. კუნძულ ეზელის დასავლეთით მტრის ცეპელინი შეუტრიშნიათ.

კავკასიის ფრონტი. სროლა.

პეტროგრადი. მარ. 29. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** რიგის ყურის სანაპიროზე ჩვენი მოწინავენი მდ. ინცეპეს ხაზისკენ წავიდნენ. მტერი წინააღმდეგობას უწევს. პსკოვის გზატკეცილიდან დვინამდე კვლავ ბრძოლა სწარმოებს. დანარჩენ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა.

რუმინეთის ფრონტი. რადაუტის სამხრეთ რაიონში მტერმა სოფ. სოლკასთან შემოტევა დაიწყო. მოვიგერიეთ. კიმოლენგის აღმოსავლეთით, სოფ. სტრიპტურის აღმოსავლეთ რაიონში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა სოფ. სდიონიკის ჩრდილო-დასავლეთით მტერი მოვიგერიეთ.

კავკასიის ფრონტი. ხოჟაბის რაიონში, ვანის სანახრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ მზვერავებს ქურთებთა ბრბოსთან მოუხდათ შეტაკება. გამოიტაცეს 87 მხვილი და 600 წვრილფეხა საქონელი. დანარჩენ ფრონტზე არაფერია არსებითი.

მფრინავთა მოქმედება. ჩვენ მფრინავთა რაზმმა ყუმბარები დაუშინა წისქვილ დუბროვოს რაიონში მტრის საწყობებს. ჩვენ მფრინავებს 15 ფუთი ყუმბარა უხვარნიათ. ამაე რაიონში „ილია მურომეც“-მა მტრის ბატარეიას აუტეხა სროლა.

ვილჰელმის განცხადება რიგაში.

სტოკჰოლმი. მარიამობისთვის 27. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ იმპერატორმა ვილჰელმა მარიამობისთვის 27-ს რიგა ინახულა და სიტყვა წარმოსთქვა. მან სხვათა შორის განაცხადა: „რიგის აღების ამბავმა ალაფრთოვანა მთელი გერმანეთი და უცხოეთში გერმანელი თხრილებში მსხდომნი. მე 8 ე ლაშქრის სიმამაცემ დაამტკიცა ჩვენი სურვილა გამარჯვებისა. ჩვენ ვიმოქმედეთ იარაღით რამდენი ხანიც კი საჭირო იქნება. გამარჯვება იმედს გვმატებს, რომ ყველაფერი მალე დასრულდება. მოსაგალი თავისაყოველია. ომის დმერთმა კვლავ ისმინა ჩვენი დაცვა. რაც უნდა მოხდეს რამდენი ხანიც უნდა გაგრძელდეს ომი მხნედ წინ მტერზე, მხიარულ გულით და რკინის ნებით გამარჯვებისაკენ.

საფრანგეთის ფრონტი

ინგლისის ბანაკის ცნობა.

ლონდონი, მარიამობისთვის 27. ოფიციალი. ვილერის აღმოსავლეთით და არტიკურის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენები რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძეზე მტრის თხრილებში შეიჭრნენ და ტყვეები წამოიყვანეს. ვერმელის აღმოსავლეთით, გავრელის მახლობლად მარჯვე თავდასხმით ჩვენებმა ტყვეები იგდეს ხელთ.

ლონდონი. მარიამობისთვის 27. ოფიციალი. დილას არტიკურის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენებმა მტრის ასპარეზები დაიჭირეს (?) იარდარის მაძილზე ხელთ ვიგდეთ 452 ტყვე და 2-იც სასანგრო მოტრირი. მალაპოს აღმოსავლეთით ჩვენთვის გასაშლელი საჭირო ალაგი დავიჭირეთ. წუხელ მზვერავთა რაზმებს მოჰქონდათ იერიშები. ინვერნეს ტყეში მდებარე ასპარეზებზე მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ მარჯვედ მოვიგერიეთ.

პარიზი. მარიამობისთვის 28. ოფიციალი. მაისის მარჯვენა მხარეზე გერმანელებმა ძლიერ საარტილერიო სამზადისის შემდეგ 3 კილომეტრზე მოიტანეს იერიშები. მტერმა ჩვენს ბრძოლის ხაზებს ვერ მოახწია. ენერგიულ კონტრატაკებით „304“ სიმაღლის აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან გერმანელები გავდევნეთ. 50-დე ტყვეც წამოვიყვანეთ. შომეს ტყის ჩრდილოეთით მტერი ახალ ასპარეზების დაჭერას შეეცადა, ოთხი იერიშიც მოიტანა, მაგრამ ოთხჯერვე მოვიგერიეთ. იტავრელას ტყის ჩრდილოეთით გერმანელებს ზიანი მივაყენეთ. დანარჩენ ფრონტზე ხანგამოშვებითი სროლაა.

ინგლისის ფრონტი

აღმოსავლეთი აფრიკა

ლონდონი. მარიამობისთვის 27. ოფიციალი. პემბთან,—35 მილზე მახენგეს სამხრეთით, გერმანელთა ყველა ასპარეზი დავიჭირეთ. მალინგიდან გერმანელთა ჯარი იხევს. პორტუგალელთა ნაიასაში და მდ. როვუმზე ხომ სულ ცოტა არიან გერმანელები.

გერმანეთი და ბელგეთი

სტოკჰოლმი. მარ. 27. იუწყებიან: რეიხსტაგის საგანგებო კომისია გასცემს პასუხს პაპის საზაო ნოტას, რომელიც ბელგეთის დამოკიდებულობის ღონგენას მოითხოვს. გერმანეთი გამოთავისუფლებს ბელგეთს იმ შემთხვევაში თუ იგი თავის დამოუკიდებლობაზე შეთანხმების სახელმწიფოებთან ხელშეკრულებებს არ შეჰკრავსო.

ჰავრი. მარიამობისთვის 27. გუშინწინდამ გერმანელების არტილერიამ ჩვენ სიმაგრეებს აუტეხა სროლა. იგი მახრჩობელ გაზებსაც ხმარობდა. მტერმა სროლა აუტეხა შორს-მტყორცნელებით „162“ სიმაღლეს. ჩვენი არტილერია ძლერი ცეცხლით უპასუხებდა.

ელზასლოტრენის ბედი

სტოკჰოლმი. მარ. 27. „შტუტგარდის გაზეთის“ რედაქტორს განუცხადა მიხეილისმა: ელზას-ლორენის საკითხის მოსაგვარებლად საბიჯეტო კომისიამ მე მომმართა. ჯერ გამოურკვეველია განაწილდება ელზას-ლორენი თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადდება. სხვათა შორის მიხაილისმა განაცხადა, ალბად გერმანეთი მალე საზავო პირობებს შეიმუშავებსო.

რიბბმ უარი განაცხადა კაბინეთის შედგენაზე.

პარიზი. მარიამობისთვის 28. რიბომ უარი სთქვა კაბინეთის შედგენაზე. პუანკარემ დაავალა კაბინეტის შედგენა პენველეს.

პროლონიკა

თბილისი

— **ილია ჭავჭავაძის** გარდაცვალების 10 წლის თავის აღსანიშნავად, მარიამობისთვის 29-ს კათალიკოსის მოსაყდრემ თფილელ მიტროპოლიტმა ლეონიდმა წირვა შეასრულა მთაწმინდის ეკლესიაში და შემდეგ პანაშვიდი გარდაიხადა მგოსნის საფლავზე. პანაშვიდის შემდეგ გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ. შემდეგ ავრეთვე პანაშვიდი გადაიხადა აკაკისა და დიმიტრი ყიფიანის საფლავზე. წირვაზე და პანაშვიდზე გალობდა ბ-ნ ჩარკვიანის მგალობელთა გუნდი. დიდძალი ხალხი დაესწრო.

ამავე დღეს, მცხეთის დეკანოზის მამა ჯალიაშვილისა და ეკ. გ. მრევლიშვილის თაოსნობით, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი წიწამურში, საცა ვერაგულად განიგმირა დიდებული მგოსანი. მღვდელმოქმედება შეასრულა დეკ. ჯალიაშვილმა. გალობდა მცხეთის ტაძრის მგალობელთა გუნდი. აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი ახლო-მახლო სოფლებიდან.

— **ადმინისტრატიული გადამჯგვნა.** ამიერ კავკასიის საგანგებო თათბირზე შესახებ საიერობო რეფორმებისა ამიერ-კავკასიაში და ადმინისტრატიულ გადამჯგვნისა მიწვეული იყვნენ ხუთ-ხუთი წარმომადგენლები ქართველებისა, სომხებისა და მუსულმანთა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ყველამ სასურველად სცნო გადამჯგვნა და თანახმად ნ. ჟორდანიას წინადადებისა კრებამ დაადგინა, რომ ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად მოწვეულ იქმნას უფრო დიდ რიცხოვანი კრება, რომელსაც უნდა დასწრონ ორ-ორი წარმომადგენელნი სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებისა და პოლიტიკურ სხვა ორგანიზაციებისა. ამ კრებას უნდა მოხსენდეს პროექტი გუბერნიებისა და მაზრების გადამჯგნის შესახებ.

— **თბ. გუბ. სასურსათო კომიტეტმა** ერთი მილიონი მანეთი მიიღო სასურსათო სამინისტროსაგან ღვინისა და ძმრის შესაძენად ჯარებისათვის.

— **ღვინის მონოპოლია.** თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს აზრად აქვს ღვინით ვაჭრობა თვითონ აწარმოვოს თბილისში. რაც ღვინოა თბილისში, ყველა თითონ შეისყიდის და კოოპერატივებს დაურიგებს მცხოვრებლებზე გასასყიდად ბარათებით, ამ აზრის განსახორციელებლად კომიტეტს ამ დღეებში ექნება თათბირი.

— **გადამდები ხნეულებანი.** უკანასკნელ დროს თბილისში გახშირდა საოფლე. წარსულ მკათათვეში 32 კაცი გახდა ავად ამ სენით, მარიამობისთვეში-კი 66 კაცი. მომეტებულად ავად ხდებიან ქალაქის მე-9 უბანში. ბაქტეროლოგიურმა გამოკვლევამ ქალაქის წყალში ვერ აღმოაჩინი საოფლის ნიშნები.

— **ერბოს შესაძენად** ქალაქის გამგეობამ 30,000 მანეთი გაუგზავნა თავის აგენტს ათაბეგოვს ჩრდილო-კავკასიაში.

— **ბინის გაკურდვა.** 28 აგვისტოს საღამოს 7 საათზე ბელინსკის ქუჩაზე № 1 გაძარცვეს წვრილი კრედიტის ინსპექტორის ა. ს. ნიჟარაძის ბინა. ქურდებმა გაიტაცეს ყველა ძვირფასეულობა და ტანისამოსი 10.000 მანეთად ღირებული. ნიჟარაძის განცხადებით სათანადო დაწესებულებანი არ იღებენ ზომებს ქურდების აღმოსაჩენად. ბ. ნიჟარაძეს ბინა გაუძარცვავთ მის თბილისიდან წასვლისას სამსახურის საქმეების გამო.

საქართველო

— **ქართველ ქალთა საზოგადოების** პრა-კერვის სკოლა აცხადებს, რომ სწავლა სკოლაში დაიწყება 5 სექტემბერს. გაბაანთ ქუჩა № 3.

ქალაქის საგზო

მარიამობისთვის 28.

კრება გაიხსნა სადამოს 9 საათზე ევ. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ საბჭოსათვის შემუშავებული ნაკაზი ჯერ კიდევ არ განუხილავს უხუცესთა საბჭოს, რადგან იგი ჯერ არ შეკრებილა და როგორ ინებებთ, საგანგებო კომისიას გადავსცეთ ნაკაზის პროექტი წინასწარ განსახილველად, თუ საბჭო განიხილავს იმასო.

ხმ. გ. უურული. მე უწყება სრულებით არ მიმიღია და უხუცესთა კრებაზე მიტომ ვერ მოვედი.

ხმ. ფ. მახარაძე. ჩვენი ფრაქციის (მეუმრ.) მხრივ მე ერთ კრებაზე მოვედი, მაგრამ პასუხისმგებელი ფრაქციიდან (მეუმცირესეებისაკენ ხელით ეჩვენებს) არავინ იყო და უკანვე დავბრუნდი. მეორე კრებაზე ჩემი ამხანაგი წამოვიდა, მაგრამ პასუხისმგებელ ფრაქციის მხრივ მაშინაც არავინ იყო.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ შეიწყნარა **ხმ. გვარჯალაძის** წინადადება და ნაკაზის განსახილველად უხუცესთა საბჭოს კრება დანიშნა მარიამობისთვის 30-ს, ხოლო ქალაქის საბჭო განიხილავს ნაკაზს მარიამობისთვის 31-ს.

კონტრ-რევოლუციის გამო.

მორიგ საქმეთა გარეშე **ხმ. პოპოვმა** სიტყვის ნება აიღო. ხმოსანმა ვრცელი სიტყვაში აღნიშნა კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა გენერალ კორნილოვის და მის თანამოაზრეთა მოუწოდა თბილისის მცხოვრებთა დემოკრატიულ ნაწილს მტკიცედ დაიცვას მოპოვებული თავისუფლება. ბოლოს ჰპოვომაც ერთმანეთი ფრაქციის მიერ შემუშავებული რეზოლიუცია გადასცა თავმჯდომარეს. რეზოლიუცია თხოულობს, რომ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ქალაქის თვითმართველობამ შეჰკრას კონტაქტი და მიღებულ იქმნას ღონისძიება, რომ ქალაქში არ დაირღვეს წესიერება და კონტრ-რევოლიუციონერთა გამოსვლამ არავინ შეაშინოს.

ამ საგნის შესახებ ილაპარაკეს ყველა ფრაქციების წარმომადგენლებმა. ნაც.-დემოკრატიულ პარტიის მხრივ სიტყვა წარმოსთქვა **ხმ. გ. გვაზავამ** და განაცხადა, რომ ჩვენი იმედები რევოლუციის გამარჯვებაზეა დამყარებული და ყოველივე ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რევოლუციის გასამტკიცებლად და კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგო.

საბჭომ ხმის უმეტესობით წინააღმდეგ სამისა (კადეტების) მიიღო ხმოსან პოპოვის რეზოლიუცია, მეუფროსეთა ფრაქციას (7 კაცი) ხმა არ მიუცია.

ბინებას რეკვიზიცია

მორიგ საქმეთა გარეშე **ხმ. გ. გვაზავამ** განაცხადა შემდეგი: საშხედრო უწყება რეკვიზიციის წესით იჭერს სახლებს და ამის გამო მობინადრენი აუწერელ გასაჭირში სცვივიან. მაგალითად, უწყებას გადაწყვეტილი აქვს დაიჭიროს განოვის ქუჩაზე მანთაშევის სახლი. ეს გვარი ნუ გაშინებს თქვენ, რადგან იმისათვის რეკვიზიცია არაფერია, მაგრამ 30 ოჯახამდე მობინადრე ქუჩაში დარჩებიან. ქალაქის თვითმართველობამ შესაფერისი ღონისძიება უნდა იხმაროს ამ მოვლენის წინააღმდეგ და დაიხსნას გაჭირვებისაგან აუარებელი ხალხი.

ქალაქის მოურავი **ნ. ელიავა** აცხადებს, რომ ქალაქის თვითმართველობაში არსებობს სამობილიზაციო განყოფილება, რომელიც ბინებს მოუღობს როგორც სამხედრო უწყებისათვის, აგრეთვე სხვა დაწესებულებისათვის. გარეშე ამ განყოფილებისა სახლების რეკვიზიცია არავის შეუძლიან და თუ სამხედრო უწყებას ვისიმე სახლის რეკვიზიცია აქვს აზრად, უწყვნოდ ამას ვერ მოახდენსო. რაც შეეხება ბინების საკითხს, ამის შესახებ გამგეობას თავისი მოხსენება აქვს შემუშავებული, რომელიც განსახილველ საგნებში არ დარჩა შეტანილი, მაგრამ განსახილველად დღესვე წარმოუდგენთ საბჭოსო.

